ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ოთხშაბათი, 7 მაისი № 1458

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგ-კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

საზაფხულო სეირნობა
საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ განზრახული ზაფხულო სეირნობა საქველ-მოქედო ბაზრითურთ გაიმართება 20 ⁄ 21 მაისს. შემოწირულებათა ფრმოგზავნა ამ ბაზრისთვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისასთან, ნი-ოლოზის ქუჩა, № 21, და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზო-ოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

ბუთაისში ხუთშაბათს, 10 მაისს, ქალაქის თეატრში დანიშნულია

კონცერტი

კ. ფ. გურამიშვილისა

ნი აკომოვის (სკრიპკა) მონაწილეობით. აწვრილებითი ცნობები აფიშებში. (ნ. 2 1)

ტფილისის კერძო

სამკურნალო

ვიხეილ გედევანიშვილისა.

ადმოფოვებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დ ი ღ ი ო:

. 3. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8 — 0 საათამდე.

. მიხეილ ს. გედევანიშვილი — ნერვებისა და ამფლობა ელექტრონით — 9 — 10 ს.

. ნ. ს მუდინი — ყურისა, ყელისა და ცხვირი — 11 — 12 საათამდე.

. ი. ბ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი — 10 — 12 საათამდე.

. ს. ნ. შატილოვი — თვალისა 11 — 12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11 — 12 ს.

. ს. ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინანი — 12 — 1 საათამდე.

. ფ. მარკევიჩი — სადასტაქრო — 12½ — 1½ საათამდე, სამშაბათობით 3 — 4 საათამდე.

. ი. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და შარდესი — 1½ — 2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

. ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი — 5 — 6 საათამდე.

. ს. ა. ბელოგლოდოვი. — შინაგანი (სტომაქის ათმეოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი. — 5 — 6 საათზე.

. ბ. მადალაშვილი — კბილობით — 10 — 12 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე ა დამეში. ერთი კრაოტი დარიბთათვის უფასოდ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ბენიშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის ერდაპირ). ტელეფონი № 274. (წდ.)

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 6 მაისს, ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს, ტფილისის სამეფო სასახლეში, ყოველ-ოსამღვდელოეს საქართველოს ეგზარხოსი ფლავიანემ გადაიხადა წირვა და შემდეგ ამადლობელი პარაკლისი. წირვაზე და პარაკლისზე ბრძანდებოდნენ: კავკასიის ოთავარ-მართებელი გენ.-ად. თაკ. გ. ს. გორიცინი, მისი თანაშემწე—გენ.-ლეიტ. ა. ფრეზე, ტფილისის გენერალიტეტი, ეფ. გუბ. თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი ბაზრების მარშლებითურთ, ტფილისის, ბაქოს, განჯის, ყარსის, დაღესტნის და ერევნის გუბერნატორები, ადგილობრივ სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებათა უფროსნი, ქალაქის თავი გ. გ. ევანგულოვი და მრავალი საზოგადოება.

✦ დღეს, 7 მაისს, ქალაქის საბჭოს განსახილველად აქვს სულ 19 საქმე. საბჭოსხვათა შორის, განიხილავს დადგენილებას ძმ. ამიროვების სახელობაზე მოსკოვის უნივერსიტეტში სტიპენდიის დაარსების შესახებ განცხადებას თედორე ნერინგისას, რომ პასუხის გებაში იქმნეს მიცემული ქალაქის გამგეობა, განცხადებას სამთო ინჟენერების ხატისოვისა და ბრაილოვსკისა საბოტანიკო ბაღის ქალაქის შუაგულთან სოლოლაკის გორას ქვეშ ტუნელის გაყვანით შეერთების შესახებ, შუამდგომელობას დედათა მეორე გიმნაზიისას უფასოდ წყალის დათმობის შესახებ, დადგენილებას ქალაქის გამგეობისას ტფილისში წმ. მარიამ მაგდალინელის სახელობაზედ ქალების თავ-შესაფარის შესახებ, დადგენილებას „ქალაქის გამგეობისას ბელგიის უსახელო საზოგადოების ცხენებზე გარდასახადის პატიების შესახებ; სავალდებულო დადგენილებას ქალაქის საყასპოს შესანახად და სხვ. საბჭოს სხდომა საღამოს 8 საათზედ დაიწყება.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მიერ შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვით, საზოგადოებას წელს შემოსავალი ექნება სულ 9260 მან., გასავალიც 9260 მან.

✦ დღეს, 7 მაისს, დღესასწაულია წმიდა იოანნე ზედაზნელისა; მონასტერი მდე ბარეობს ავჭალის მახლობლად; მლოცველთათვის თავშესაფარია მომზადებული.

✦ შაბათს, 5 მაისის სხდომაზედ, ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიამ დაადგინა შემწეობა აღმოეჩინოს ქალაქის სასწავლებლების შემდეგ მასწავლებელ ქალებს: ანნა გ. ხახუტაშვილს და ნინა ს. გალუმოვს, თითოს ხუთ-ხუთი თუმნით, ხოლო ქ-ნ ბროძელისას და გოგნიაშვილისას —25 მან. თითოს.

✦ რუსეთის ფოსტა გუშინ, 6 მაისს, ტფილისში არ მოსულა.

გუშინვე პარაკლისები გადახდილ იქმნა მართლ-მადიდებელთა, კათოლიკეთა და სომეხთა ეკკლესიებში, მაჰმადიანთა მეჩითში და ურიების თორაში.

მთელი დღე ქალაქი მორთული იყო დროშებით, ხოლო საღამოს გაჩირაღდნებული.

✦ მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭოს გადაუდვია 1000 მანეთი საქართველოს რუსეთთან შეეთრების ასის წლის იუბილეის დღესასწავლისათვის („ნ. ობ.“).

ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ ხორტუგალიაში ანტიკლერიკალური მოძრაობა სრა სცხრება. კომბრის უნივერსიტეტში დიდის ამბით, ეპისკოპოსის თანდასწრებით, ერთს ხირს მეცნიერების დოქტორის ხარისხი დუმტკიცეს. სტუდენტებმა, რომლებიც ამ ამბავს დესწრნენ, რამდენჯერმე შესწეოტეს ეს ცერემონია. ისინი ეკიროდნენ: «კუმარჯოს თავისუფლებას, დაიდუპოს რეაქცია». როცა ეპისკოპოსი ეტლში ჯდებოდა, მას დიდძალი ხოლიცია შემოეხვია კარს. მაგრამ მაინც სტუდენტებმა დიდი მანიფესტაცია მოახდინეს მის წინააღმდეგ ქ. ოპორტოში დიბერალების კრებამ დაადგინა კლერიკალების წინააღმდეგი კომიტეტები დაწესოს მთელს ხორტუგალიაში. გათქმული ანტიკლერიკალური ხიესა «ელექტრა» უნდა წარმოადგინონ და წარმოდგენის შემოსავალი უნდა საფუძვლად დაედოს იმ თანხას, რომლითაც შემდეგში თავისუფალი უნივერსიტეტი და საერო სკოლები უნდა გაიხსნას. ხმა დადის, რომ ოპორტოში მაღე სამხედრო წეს-რიგი იქნება გამოცხადებული. ანტიკლერიკალურმა მოძრაობამ ზარის გუნებაზედაც იჩინა თავი. დასაბოლოოში ერთ მოადგილზე ანტიკლერიკალური კრება მოხდა. ორატორებმა ცხარე სიტყვები წარმოსთქვეს მთავრობის დეკრეტის წინააღმდეგ, რომლის ძალით კონგრეგაციებს ბევრი რამ ეთმობა. დასასრულ მეადგილზე ერთი ბერის სურათი დასწვეს. მანიფესტანტების ზოგიერთმა ჯგუფმა კლერიკალურ გაზეთების რედაქციებს შუაბი დუმსხვრიეს. დასაბოლოის სოციალისტებმაც დიდი მანიფესტაცია მოახდინეს; მათ მუსიკით, ბაირადებით და ალეგორიული ეტლებით მოედი ქალაქი მოიარეს. სასაფლაოზე ცნობილი სოციალისტების საფლავები გვირგვინებით შეამკეს. უფლა მანიფესტაციებმა ისეთის ჩინებულის წეს-რიგით ჩაიარა, რომ წინადვე დამზადებულ ხოლიციის ძალიერი რაზმებს არაკითარი საბუთი არ მიეცთ საქმეში გარეულიყვნენ.

წერილი რედაქციის მიმართ.

მ. ხ! უმორჩილესად გთხოვთ, ეჯვის ასტდენად, გამოაცხადოთ «ცნობის ფურცელში», რომ ქ. დუშეთიდან კორესპონდენტია აქაურ მომრიგებელ მოსამართლეზე ჩემ კალამს არ ეკუთვნის.

გ. ლუარსამიძე *.

როგორც მე და ჩემმა რწმენებული სკოლის მოწაფეებმა, ისე ალაგირის ქართველი საზოგადოება უგულითადესს მადლობას გუძღვნით: ქ. კავკავის მცხოვრებლებს—იოსებ ბარხუსტიშვილს და ივანე ილურიძეს. რომლებმაც შემოსწირეს ალაგირის სკოლას 7 მ. 50 კ. დირებული ქართული წიგნები; იმედია სხვებიც მიჰბაძავენ ამ მაგალითს და შემწეობას ალმოუჩენენ ამ დარბაზს და უცხო ქვეყანაში გამარტოებულს ქართულს სკოლას, რომელთაც გავახსენებთ ჩვენს ადრესს: Алагиръ, Учителю Павлу Ломтатидзе.

ალაგირის ქართულ-სამრევლო სკოლის მასწავლებელი ბავლე ლომთათიძე.

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ეს წერილი დაბეჭდოთ მახლობელს ნომერში.

როგორც ჩემის მხრით, აგრეთვე ბადალთის უფასო სამკითხველოს დამაარსებელთა უველა წევრების მხრით უდრმესს მადლობას ვუძღვნი უველა იმ ხერთ, რომლებმაც კეთილი ინებეს და არ დაიშურეს თავისი წვლილი ბადალთის უფასო სამკითხველოსათვის.

განსაკუთრებით უველა წევრები დიდს მადლობას ვწირავთ ბადალთში მოვაჭრეებს: სიმონ მელაშვილს, ანტონ ბუცხრიკიძეს, ტარიელ შვილდაძეს, სტეფანე ხითარეოვს და ვალადიმერ ქაშაკაშვილს, რომლებიც სიმპატიურად ეძლევიან სამკითხველოს დაარსებიდგანვე; აგრეთვე ტ. ს. გეგელესიანს, ილ. მ. გორგაძეს და ირაკლი ტუეშელაშვილს შემოწირულებათა შეგროვებისათვის. შემოსწირეს: მიხრ. ანანოვმა—ათი მანეთი, სენაკის მაზრის ექიმმა გ. ნ. კახიანმა და ირ. ტუეშელაშვილმა—სამ-სამი მანეთი; ს. მელაშვილმა, ან. ბუცხრიკიძემ, ტარ. შვილდაძემ და სტეფანე ხითაროვმა—თითო-თითო მანეთი; კ. თომაევმა—სამი აბაზი; ვლ. ქაშაკაშვილმა, ტარ. ენუქიძემ, ტარ. დოხონაძემ, მიხ. ჭუმბურიძემ, ალ. ბზიკაძემ, ილარ. ჯავაზიამ, ილ. სვანიძემ, ქორიძემ და კისტავამ—ათ-ათი შაური თითომ; ილ. კაცაძემ, სპირ. შვილდაძემ, დ.

*) ვაცხადებთ, რომ ხსენებულის კორესპონდენციის ავტორი ვ. ლუარსამიძე არ არის. რედ.

შვილდაძემ, ვარ. ბუბუტეიშვილმა, ვ. ჯაბიტაშვილმა, სოდ. ოთხიანელიძემ, ნიკ. რობაქიძემ, ან. მხეიძემ, �ar. ეიფეიანმა, ალ. გუმბერიძემ, გუდუბაკუტავმა, ოქ. კამბაძემ და ივლიან ნიოლაძემ — ხუთ-ხუთი შაური თითოთ; ტაბიძემ და ნიკ. შარაშიძემ ექვს-ექვსი შაური; მეთ. გიორგაზონიამ და ბ. გეგეჭკორმა — თითო აბაზი.

ბადდათის ორკლასიანი სასწავლებლის ზედამხედველი ივ. მემარნიშვილი.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

5 მაისი.

ლონდონი. „სტანდარდ“-ს ატყობინებენ შანჰაიდან: სიანფუდან მოსულმა მანდარინმა სთქვა, რომ მას იმპერატორის სასახლეში დიდი საბჭოს ცნობილი წევრი კან-ლი უნახავს. შემდეგ ამბობენ, რომ კონსულში ჯარები აჯანყდნენ, რადგანაც ჯამაგირს არ აძლევდნენო. იმპერატორის ბრძანებით დაითხოვეს ის ჯარები, რომლებიც 1900 წლის დასასრულს მოვიდნენ ჩრდილოეთში იმპერატორის სახლობის დასაცველად.

აბბაცია. რუმინიის მეფე-დედოფალი დილით ბუხარესტში წავიდნენ, ხოლო საბერძნეთის იეფე საღამოს წავა.

კონსტანტინეპოლი. სერბიის ელჩი ვალ წარადგენს ნოტას იმ ამბების შესახებ, რომლებიც ამას წინად ოსმალეთ-სერბიის საზღვარზე მოხდა და ბეჯითად მოითხოვს, რომ მაგარი ღონისძიებანი მიღებულ იქმნას საზღვარზე მშვიდობიანობის უზრუნველ-საყოფელად.

მეცი. იმპერატორი და ხელმწიფე-დედოფალი დილით მოვიდნენ. ჯარების დათვალიერების დროს იმპერატორს რუსული ანდრეის ლენტა ჰქონდა გაკეთებული. ჯარის მარჯვენა ფრთასთან იმპერატორს დილით მოსულნი რუსეთის ელჩი და საელჩოს წევრები ელოდებოდნენ.

ქრისტიანია. სეიმმა არ შეიწყნარა კანონ-პროექტი, რომ ქალებს საზოგადო არჩევნების დროს ხმის უფლება მიჰნიჭებოდათ.

ბერლინი. პომერანიის საადგილ-მამულო სააქციონერო ბანკის ორივე დირექტორი, პომეიკი და შულცი, დაპატიმრებულ იქმნენ.

ლონდონი. „დეილი მაილ“-ი იუწყება, რომ ელჩებს ინგლისის წინადადება წარედგინათ, რათა ჩინეთმა საზღაურის გადასახდელად გამოსცეს ოთხ პროცენტიანი ობლიგაციები ნახევარ პროცენტის გადახდით. ამ გადახდის წყარო იქნება მარილზე და ჩინურ ნავებზე დადებული გადასახადი. შემდეგ ინგლისის წინადადება ურჩევს ელჩებს, რომ პეკინის ბანკებში მოსამსახურეებისაგან საერთაშორისო კომისია შესდგეს, რომელმაც კონტროლი უნდა გაუწიოს ჩინეთის საფინანსო ოპერაციებს.

ქრაფოკი. ის რაზმი, რომლის უფროსი სვანეპული ამას წინად მოკლეს, ამ ჟამად პორსტონის ჩრდილოეთით იმყოფება. ამ რაზმმა ახალი უფროსი ამოირჩია. პოლკოვნიკ გოვანჯს ბრძოლა ჰქონდა ამ რაზმთან, სტრომბერგის აღმოსავლეთითი: ბურებს 4 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს. რამდენიმე რამდენიძე დღის წინად ბურების რაზმი ორანჟეს მდიერარეში გავიდა და ზურის მთებისაკენ წავიდა; რამდენი კაცია ამ რაზმში, — არ იციან.

ბერლინი გაზეთების სიტყვით, რუსეთის იმპერატორის დაბადების დღის გამო მოხდება ჯარების აღლუმი, რომელზედაც რუსეთის საელჩოს ყველა წევრები არიან მიწვეულნი.

კიევი. შაშრი ბაზარი დაწყნარდა. ფხვნილ შაქარს ფასი დააკლდა. გამყიდველები 1 ფუთ შაქარში 4 მან. 50 კაპ. თხოულობენ, რაიცა დადგენილ ფასზე 5 კაპ. ნაკლებია.

ნოვოჩერკასკი. დონის ოლქიდან ცნობები მოდის, რომ იქ ვენახი და ბაღები აპრილის გასულს ყინვამ დააზარალაო.

კონსტანტინეპოლი. პრევეზის მუტესარიფმა დაატუსაღა და ციხეში ჩასო იანინაში ბერძნის ეპისკოპოსი კოსმა, რომელსაც ბერძენთა პროპაგანდაში მონაწილეობის მიღება ჰბრალდება. საბერძნეთისა და რუსეთის ელჩები და აგრეთვე სამსოფლიო პატრიარქი ეცდნენ ოსმალეთის მთავრობასთან, რომ ეპისკოპოსი განთავისუფლებულებულ იყოს.

6 მაისი.

პეტერბურგი. 5 მაისს, ცარსკოე სელოში, ხელმწიფე იმპერატორის და დიდის მთავარის სერგი ალექსანდრეს ძის დასწრებით, რეალურ სასწავლებლის საძირკველის ჩაჰყარეს.

5 მაისს პეტერბურგში მობრძანდნენ დიდი მთავრები სერგი ალექსანდრეს ძე და პეტრე ნიკოლოოზის ძე უავგუსტოგსის მეუღლეებითურთ.

გამოცხადდა შემდეგი უმაღლესი ბრძანება სამხედრო მინისტრას სახელობაზე: „ჩინეთის ომში გამარჯვების სახსოვრად ჩვენ კეთილად ვცანით დაარსებულ იქმნას მედალი ზედ-წარწერით ჩინეთში გალაშქრებისათვის. 1900—1901 წლები“ გულზე სატარებლად ლენტით. ამ ვერცხლის მედალს ვუბოძებთ ყველა იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო ბრძოლებში ჩინეთის იმპერიაში და ბლაგოვეშჩენსკის დაცვაში; ბრინჯაოს მედალს — იმათ, ვისაც არ მიუღია მონაწილეობა ბრძოლებში, მაგრამ ჩინეთში იყო აგრეთვე, იმათა ვინც, იყვნენ იმ ადგილებში, რომლებშიაც სამხედრო წესრიგი იყო შემოღებული. ვამტკიცებთ-რა წესებს, რომელთა ძალით ეს მედლები უნდა დარიგდეს, ჩვენ გავალებთ გადასცეთ ისინი, მომზადების შემდეგ, პრიამურის სამხედრო ოლქის და კვანტუნის ოლქის უფროსის განკარგულებაში.„

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა 1902 წლიდან დაიწყონ რკინის გზის გაყვანა, რომელიც გაივლის პეტერბურგ-ტიმვინ-ჩერეპოკეც-კოლოგდა-ბუიგალიჩ და ვიატკაზე.

გამოცხადდა უმაღლესი რესკრიპტი-ხერსონის არქიეპისკოპოსის იუსტინის, ვოლინის — მოდესტის და ყაზანის — არსენის სახელობაზე, რომლებით მათ ებოძათ ბრილიანტის ჯვრები ბარტყულაზე სატარებლად.

ებოძათ მე-2 ხარისხის ორდენები წმ. ვლადიმერისა ფინლანდიის და ვიბორგის არქიეპისკოპოსს ნიკოლოოზს, კიშინევის და ხოტინის არქიეპისკოპოსს იაკობს და პეტერბურგის ყველა სასწავლებელთა საკრებულო ტაძრის დეკანოზს როზანოვს.

კვანტუნის ოლქის ჯარების უფროსს ვიცე-ადმირალს ალექსეევს და ფლაგ-კაპიტანს ვიტე-ადმირალს ლომენს ებოძათ მისის უდიდებულესობის გენერალ-ადიუტანტობა და დატოვებულ იქმნენ თავიანთ თანამდებობაზე.

საიმპერატორო ნადირობის უფროსს გენ.-ლეიტენატს თავ. გოლიციხს ებოძმისი უდიდებულესობის გენერალ-ადიუტანტობა.

გზათა მინისტრის ამხანაგის მიასოედოვივანოვის პეტერბურგიდან წასვლის გამო, მის თანამდებობის აღსრულება მიენდო გზათა სამინისტროს კანცელიარიის დირექტორს ერმოლოვს.

5 მაისს გარდაიცვალა გენერალი როზენბახი, — ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა გემებს »ბობრს,“ „კორეეც“ და „გილიაკს,“ რომლების ჯარებმა გაიმარჯვეს ტაკუს ციხის აღების დროს, წმ. გიორგის ვერცხლის ბუკები ზედ-წარწერით „ტაკუს აღების დროს გამარჯვებისათვის 4 ივნის, 1900.“

ოდესა. გემით მოასვენეს აქ გენერალ კოლერის გვამი მოსკოვში წასასვენებლად.

ნოვოროსსიისკი, რამდენიმე დღეა წვიმა მოდის.

სოფია. დანამდვილებითი ხმა გავრცელდა, რომ მინისტრ-პრეზიდენტსა და სამხედრო მინისტრს შორის მოხდება შეთანხმება სამხედრო ბიუჯეტის შესახებ, უმეტესად კი იმ საკითხის შესახებ, რომელიც შეეხება სამხედრო სამსახურის ბეგარის ორი წლის ვადის შემოღებას, ამ ზომით სამსახურის მოსახდელად მოწვეულთა რიცხვის შესამცირებლად და ჯარების საერო რიცხვის შეუმცირებლად.

ბერლინი. ვალდერზეე პეკინიდან იტყობინება, რომ, სხვა და სხვა ცნობებით, ზღვის ავაზაკები არა ერთხელ შემოჰსეეიან შანჰაის-გუანს და ცარცვა-მოტყუება ჩაუდენიათ. გემი „ილტისი“ პეჩილიის ყურეში მოვიდა, რათა დაათვალიეროს ზღვის ნაპირების ადგილები.

ბელგრადი. პროფესორმა სნეგირიოვმა მიიღო პირველი ხარისხის ორდენი წმ. საბასი, მისმა თანაშემწემ, ექიმმა გუბარიოვმა, იმავე ორდენის კომანდორის ჯვარი.

საღამოს დეპეშებმა მხოლოდ დღეს გამოიცხადეს მცირე შენიშვნა... რომელშიაც ნათქვამია, რომ დედოფლის ძეობიდან განთავისუფლება, რომელიც ფრანგ ექიმის კულეს აზრით ამ დღეებში უნდა მომხდარიყო. ეხლა მოსალოდნელი აღარ არის. ექიმი ვერტგეიმივენიდან და ექიმი კანტაკუზენი ბუხარესტიდან, რომელნიც აქ მოვიდნენ, დაეთანხმნენ რუს ექიმების აზრს.

მეცი. დღევანდელ სადღესასწაულო საუზმეზე 80-იდე კაცი იყო მიპატიჟებული. მოვიდნენ: იმპერატორის მოადგილე ჰოჰენლოე — ლანგენბურგი, სამხედრო მინისტრი მოსლერი, იმპერატორის ამალა, რუსეთის ელჩი გრაფი ოსტენ-საკენი, რუსეთის საელჩოს მოხელენი, გენერლები, ადგილობრივ პოლკების უფროსები, მე-145 და იმპერატორის პოლკების შტაბ-ოფიცრები, ოლქის პრეზიდენტი ცეპელნი, საოლქო სიმის პირველი პრეზიდენტი ჟონე, საიმპერიო სვიმის დეპუტატი შმიდტი და სხვები, იმპერატორს მარჯვენა მხრით უსხდნენ რუსეთის ელჩი და იმპერიის კანცლერი, მარცხენა მხარეს — გენერალ-პოლკოვნიკი გენზელერი და პრინცი ჰენრიხი. საუზმის გათავებისას იმპერატორმა რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელო მიირთვა.

მეცი დღევანდელს სადღესასწაულო საუზმეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც იმავე დროს დღესასწაული იყო რუსეთის იმპერატორის დაბადების დღისა. თავის სიტყვაში იმპერატორმა ვილჰელმა მოიხსენია, რომ პრუსიის მეფეებს ყოველთვის ჩვეულებათ ჰქონდათ — რუსეთის ხელმწიფეების დღესასწაულებში მონაწილეობა მიეღოთ; შემდეგ იმპერატორმა, გაახსენა-რა დამსწრეთ, რომ ვალდერზეეს ჩინეთში მთავარ-სარდლად დანიშვნიდან მალე გაივლისო, სთქვა: თუ ეხლა იმედი გაქვს, რომ მოკავშირეთა ჯარების უმეტესი ნაწილი მალე დაბრუნდება ჩინეთიდან, უმთავრესად დამოკიდებულია იმ ნდობაზე, რომლითაც რუსეთის იმპერატორი ეპყრობა გრაფ ვალდერზეეს“. ბოლოს იმპერატორმა სურვილი გამოთქვა, რომ განათლებულ ერთა შორის ჩინეთში დამყარებულმა კავშირმა სარგებლობა მოუტანოს მშვიდობიანობის დიად საქმეს და წარმოსთქვა „ჰოხ“ იმპერატორის ნიკოლოოზის პატივ საცემლად.

რედაქტორი	გამომცემელი
ალ. ზეონია.	ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი — ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბაქოში გადის კვირაში ერთხელ — ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის სადამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის სადამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

ფოსტა მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გადის დამ[illegible] 11 ს. 55 წ. (12 ს. [illegible] წ.). ტფილისში ჩამოდის [illegible] 5 ს. 35 წ. (6 სსთ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში [illegible] დის სადამოს 6 სსთ. 30 წ. (7 ს. 28 [illegible] ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს 8 [illegible]

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 [illegible] 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. 23 [illegible] (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმ[illegible] გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუ[illegible] ში ჩადის სადამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 [illegible]

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდ[illegible] ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 [illegible] 54 წ.), ტფილისში ჩადის სადამოს 8 ს. 42 [illegible] (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში [illegible] გადის სადამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 [illegible] ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 [illegible]

ფოსტა მატარებელი № 4 ბათუმიდ[illegible] (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 [illegible] 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში [illegible] გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 [illegible] ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, [illegible] ხეიდის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში — 12 მან. თვ., ცალკე ოთახში — 60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., დარიგებათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს გახეოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

ბუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარაგუნისა, ეორონტოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

თავლების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთა[illegible]ვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილ[illegible] — ფასიანი. თვეში დირს 12 მან. ექიმი ისტ[illegible] მანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გუდულიანცი.

ქალაქის უფასო დამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ეორონტოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოდდეიუსტისა.

განცხადებანი

მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭ[illegible]

ამით აცხადებს, რომ ამ წლის 11 მაისს შუადღის 12 საათზე, საბჭოს სადგომში ქ. ქუთაისში, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით სამის ხიდის გა[illegible] კეთება დაბა ჭიათურაში წირქვალის გზაზე, სამუშაოს ღირებულება ხარჯთ-აღრიცხვ[illegible] გამოანგარიშებულია 2648 მან. და 76 კ[illegible]

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვ[illegible] ჭრობაში, ვაჭრობის დაწყებამე უნდა წ[illegible] რუდგინოს საბჭოს ბე ან ნაღდი ფულით[illegible] ან სარგებლიანის ქაღალდებით — 10% ხ[illegible] ნებულის საიჯარო ფასისა. ვაჭრობის შ[illegible] დეგი საბჭომ უნდა დაამტკიცოს. ხარჯთ[illegible] აღრიცხვისა, გეგმისა და დაწვრილებ[illegible] პირობათა განხილვა შეიძლება ყოველ-დ[illegible] საბჭოს სადგომში. (3 — ნ. — 1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Мая 1901 г. სტამბა ქართ. ამხ—ბისა, ვანქის დიდ ქუჩა, № 27